ილია ჭავჭავაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილ
საიუბილეო ღონისძიებათა სამთავრობო კომისია

საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენცია

# „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“

## თეზისები

2007 წლის 6-7 ნოემბერი

**Governmental Committee of Jubilee Arrangements Dedicated to the 170th Anniversary of Ilia Chavchavadze**

**The International Scientific Conference**

# "ILIA CHAVCHAVADZE AND HIS EPOCH"

## Theses

6-7 November, 2007

**სოფიკო ლობჟანიძე**
*ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*(საქართველო თბილისი)*

## ილია ჭავჭავაძე გერმანოფილური საგანმანათლებლო პოლიტიკის იდეოლოგი საქართველოში

ილია ჭავჭავაძე ერის ხსნის ერთადერთ გზას განათლებულ საზოგადოებაში ხედავდა. განათლებული საზოგადოების შექმნა კი მხოლოდ სწორი საგანმანათლებლო სისტემით იყო შესაძლებელი.

რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი სასულიერო-საგანმანათლებლო ტრადიციების აღდგენას, ცხადია, მიბაძვის ღირსი თანამედროვე მაგალითის გათვალისწინების გარეშე ვერ შეძლებდა. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული რამდენიმე მნიშვნელოვან ფიგურას საქართველოში და, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძეს. ამიტომ ეძებდა იგი ახალ მყარ ორიენტირებს განათლების სფეროში.

რუსეთის იმპერიის უკომპრომისო რუსიფიკატორული პოლიტიკისა და შეუწყნარებელი საგანმანათლებლო სისტემის საპირისპიროდ ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ევროპაში ისეთი მაგალითის პოვნას, რომელიც მას არგუმენტად გამოადგებოდა, რუსეთისათვის კი ანგარიშგასაწევი იქნებოდა მაღალი ავტორიტეტის წყალობით. ამ ძიებამ იგი გერმანიასთან მიიყვანა. საერო განათლების სისტემის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ევროპაში ყველაზე საინტერესო ილიასთვის პრუსიული საგანმანათლებლო სისტემა და მასში მიმდინარე პროცესები აღმოჩნდა.

ქართული პრესა და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „ივერია" მაქსიმალურად ცდილობდა ამ პროცესების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიეწოდებინა ქართველი საზოგადოებისთვის. „ივერიაში" ათეულობით ასეთი სტატია იბეჭდებოდა იმ მიზნით, რომ ქართულ საზოგადოებას მიებაძა გერმანულისათვის განათლების სფეროში და აეთვისებინა მისი გამოცდილება.

ილია ჭავჭავაძეს აღაფრთოვანებდა გერმანელთა მიდრეკილება და დამოკიდებულება სწავლა-განათლებისადმი. ამ მხრივაც, იგი გერმანელებს ქართველთა მისაბაძ მაგალითად სახავდა და თანაც არა ზოგად, აბსტრაქტულ „გერმანელებს", არამედ კერ-

ძოდ, საქართველოში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებსაც.

ილიამ, გერმანიის სახით, ახალი ორიენტირი დაუსახა მანამდე რუსეთის მიბაძვით საფრანგეთზე ორიენტირებულ ქართულ საზოგადოებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ილია ჭავჭავაძის ამ კურსს მხარი დაუჭირა იაკობ გოგებაშვილმაც.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გერმანული სასკოლო და საუნივერსტეტო განათლების სისტემებისადმი განსაკუთრებული სიმპათია ქართულ ინტელექტუალურ წრეებში, სწრაფვა ახალგაზრდობა სასწავლებლად სწორედ გერმანულ უნივერსიტეტებში გაეგზავნათ სწავლის მისაღებად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ინტელექტუალური გერმანოფილობა, რამაც XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერიის უღლისაგან საქართველოს დახსნისათვის მოღვაწე ეროვნულ ძალებში პოლიტიკური გერმანოფილობის შეუქცევადი სახე მიიღო.

**Sofiko Lobzhanidze**
*Ilia Chachavadze State University*
*(Georgia, Tbilisi)*

## Ilia Chavchavadze - Ideologist of Germanophile Policy in Georgia

Ilia Chavchavadze found nation save path in educated society. TO set the educated society was possible only through correct education system.

Occupied and annexed by Russian empire Georgia couldn't restore its long term spiritual-education traditions restoration without simulating modern samples of education. Some well-known Georgians took it into account and Ilia Chavchavadze first of all, Therefore he tried to find new hard guidelines in the education field.

As a counterbalance of Russian policy and unforgivable education system thoroughgoing Ilia Chavchavadze tried to find such sample in Europe, which could be argued and would be a good argument for Russia. Among the European education system Prussian education system and processes going into it was the

most interesting to Ilia.

Georgian press and especially journal of Ilia Chavchavadze `Iveria` maximally tried to inform the society about these processes promptly. There were hundreds of such articles published in `Iveria` to imitate German education sphere and adopt its experience.

Ilia Chavchavadze was excited from Germans vocation and attitude towards education. From the point of view he gave Germans as a sample for the imitation and not only the abstract Germans, but German colonists in Georgia as well.

Behind Germany Ilia Chavchavadze gave new orientation to the nation instead of France. It's very important to say that this course was supported by Jakob Gogebashvili as well.

On the eve of XIX-XX centuries inclination among the Georgian intellectual circles towards German schools' and universities' education systems could be characterized as intellectual Germanophilia, which form as a political Germanophilia among intellectual forces at the beginning of XX century to make Georgia free from Russian empire.